# ცნობა

**ირაკლი ღარიბაშვილი** დაიბადა 1982 წლის 28 ივნისს;

**1999 – 2004 წლებში** სწავლობდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტზე, სპეციალობით – საერთაშორისო ურთიერთობები;

**2002 – 2004** წლებში სწავლობდა სორბონის უნივერსიტეტში (პარიზი, საფრანგეთი) პოლიტიკური მეცნიერებების ფაკულტეტზე, სპეციალობით – საერთაშორისო ურთიერთობები;

**2005 წელს** სწავლობდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მაგისტრატურაზე, სპეციალობით – საერთაშორისო ურთიერთობები;

**2001-2002 წლებში** იყო საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის სტაჟიორი;

**2004-2005 წლებში** იყო შპს „ბურჯის" („ქართუ ჯგუფი") ლოჯისტიკის დეპარტამენტის საგარეო შესყიდვების განყოფილების მენეჯერი;

**2005 წლის მაისიდან 2005 წლის ოქტომბრამდე** – შპს „ბურჯის" („ქართუ ჯგუფი") ლოჯისტიკის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე;

**2005 წლის დეკემბრიდან 2012 წლის თებერვლამდე** იყო საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდ „ქართუს" გამგეობის თავმჯდომარე – გენერალური დირექტორი;

**2007 წლის დეკემბრიდან 2012 წლის თებერვლამდე** – სს „ბანკ ქართუს" სამეთვალყურეო საბჭოს წევრი;

**2009 – 2012 წლებში** იკავებდა შპს „ქართული ოცნების" დირექტორის პოზიციას;

**2012 წლის თებერვლიდან** – პოლიტიკური პარტია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ დამფუძნებელი/წევრი და პარტიის სარევიზიო კომისიის ხელმძღვანელი;

**2012 წლის ოქტომბრიდან 2013 წლის ნოემბრამდე** იყო საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი;

**2013 წლის 20 ნოემბრიდან 2015 წლის 23 დეკემბრამდე** იკავებდა საქართველოს პრემიერ-მინისტრის თანამდებობას;

**2018 წლის თებერვლიდან 2019 წლის აგვისტომდე** დასაქმებული იყო კერძო სექტორში;

**2019 წლის 5 მარტს** არჩეულ იქნა პოლიტიკური პარტია „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ პოლიტიკურ მდივნად და პოლიტიკური საბჭოს წევრად;

**2019 წლის 8 სექტემბერს** დაინიშნა საქართველოს თავდაცვის მინისტრად.

ფლობს ინგლისურ, ფრანგულ და რუსულ ენებს.

ჰყავს მეუღლე და ოთხი შვილი.

# ცნობა

**მიხეილ ჩხენკელი** დაიბადა 1968 წლის 1 აპრილს;

**1990 წელს** წარჩინებით დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მატემატიკის ფაკულტეტი, სადაც იგი იყო აკადემიკოს მუსხელიშვილის სახელობის სტიპენდიანტი;

**1996 წელს** დაამთავრა ამერიკის შეერთებულ შტატებში პენსილვანიის უნივერსიტეტის დოქტურანტურა და მიენიჭა მათემატიკის დოქტორის სამეცნიერო ხარისხი;

მიხეილ ჩხენკელი 20 წლის განმავლობაში ასწავლიდა ამერიკის წამყვან უნივერსიტეტებში. მას მიღებული აქვს მრავალი ჯილდო სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობისთვის, მათ შორის, საპროფესორო ოსკარი საუკეთესო სწავლებისთვის, პენსილვანიის უნივერსიტეტის 9 ჯილდო საუკეთესო სწავლებისთვის, გოლდმან საქსის ფონდის პრემია, სამეცნიერო-კვლევითი გრანტები და სტიპენდიები. იგი არის მრავალი სამეცნიერო სტატიის ავტორი, ამერიკაში გამოცემული წიგნების რეცენზენტი და სამეცნიერო-კვლევითი საზოგადოებების წევრი. ამერიკის უნივერსიტეტებში მოღვაწეობისას მიხეილ ჩხენკელი იყო მათემატიკის დეპარტამენტის კომპიუტინგის კომიტეტის თავმჯდომარე, პროფესორთა სენატის წევრი, მათემატიკისა და კომპიუტერული მეცნიერების საკონკურსო კომიტეტების წევრი, ტექნოლოგიის, ანალიტიკური აზროვნების, აკადემიური სტანდარტების კომიტეტების წევრი, ამერიკის მათემატიკური საზოგადოების სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციების ჟიურის წევრი, სამეცნიერო-კვლევითი კონფერენციებისა და მათემატიკური ოლიმპიადების ორგანიზატორი, სენგეიჯ ლერნინგის მრჩეველი და გოლდვოტერის პრემიის კომიტეტის წევრი;

მონაწილეობას იღებდა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში, მათ შორის, ამერიკის მათემატიკური საზოგადოებისა და ამერიკის მათემატიკური ასოციაციის სამეცნიერო კონფერენციებში. მონაწილეობას იღებს ახალი კურიკულუმების შემუშავებაში. მჭიდრო პროფესიული კავშირები აქვს ამერიკის მრავალი წამყვანი უნივერსიტეტის პროფესორებთან, არის ამერიკის უნივერსიტეტების პროფესორთა ასოციაციის წევრი;

**2016 წლის ნოემბრიდან 2017 წლის ნოემბრამდე** იყო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორი;

**2017 წელს** ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წინაშე გაწეული განსაკუთრებული დამსახურებისა და ნაყოფიერი ორგანიზაციული მოღვაწეობისათვის მიხეილ ჩხენკელს მიენიჭა ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედალი;

**2017 წლის 13 ნოემბრიდან 2018 წლის 12 ივლისამდე** იყო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი;

**2018 წელს** იგი ევროპის აკადემიამ (Academia Europaea) საპატიო წევრად აირჩია;

**2018 წლის 16 ივლისიდან 2019 წლის 13 ნოემბრამდე** იკავებდა საქართველოს პრემიერ-მინისტრის მრჩევლის თანამდებობას განათლების საკითხებში;

**2019 წლის 13 ნოემბერს დაინიშნა** საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრად.

# ცნობა

**ლევან დავითაშვილი** დაიბადა 1978 წლის 10 დეკემბერს;

**1999 წელს** დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის ბაკალავრიატი;

**2001 წელს** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ბიზნესის მართვის მაგისტრატურა;

**2003 წელს** – მილანის პოლიტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესის მართვის მაგისტრატურა;

**1997 წლიდან 1999 წლამდე** მუშაობდა საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურში სადაზღვევო რეგულაციებისა და სტანდარტების დეპარტამენტის უფროსად;

**1999 წლის ივნისიდან – სექტემბრამდე** იყო საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის სოციალური გადასახადების დეპარტამენტი უფროსი;

**1999 – 2001 წლებში** – მსოფლიო ბანკის საწარმოთა რესტრუქტურიზაციისა და მართვის დახმარების ცენტრის (CERMA) მთავარი ბიზნეს-კონსულტანტი;

**2002 წლიდან 2007 წლამდე** – შპს „წინანდლის ძველი მარნის“ გენერალური მენეჯერი;

**2007 – 2009 წლებში** – USAID-ის სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტის Ag Vantage-ის მარკეტინგის დეპარტამენტის ხელმძღვანელი;

**2009 – 2012 წლებში** იყო შპს „შუხმან ვაინს ჯორჯიას“ გაყიდვებისა და მარკეტინგის დირექტორი;

**2010-2011 წლებში** – საქართველოს ღვინის მწარმოებელთა კავშირის გამგეობის წევრი, გამგეობის თავმჯდომარე;

**2012 წლის 4 დეკემბრიდან 2014 წლის 5 ნოემბრამდე** – საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ – ღვინის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელი;

**2014 წლის 5 ნოემბრიდან 2016 წლის 8 სექტემბრამდე** – საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე;

**2016 წლის 9 სექტემბრდან 2017 წლის 15 დეკემბრამდე** – საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი;

**2017 წლის 15 დეკემბერიდან დღემდე** არის საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი.

ფლობს ინგლისურ, იტალიურ და რუსულ ენებს.

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

# ცნობა

**ნათელა თურნავა** დაიბადა 1968 წლის 19 ოქტომბერს;

**1990 წელს** დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი, ეკონომისტის სპეციალობით;

**1994 წელს** – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტურა და მიენიჭა ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი;

**2014 წელს** – გაერთიანებული სამეფოს კუმბრიის საგრაფო უნივერსიტეტი და მიენიჭა ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის ხარისხი;

**2005-2006 წლებში** გაიარა სწავლების სხვადასხვა კურსი ამერიკის შეერთებულ შტატებში, ჰარვარდის უნივერსიტეტის ჯონ კენედის სახელობის სამთავრობო სკოლის ეგიდით;

გავლილი აქვს საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და ვენის გაერთიანებული ინსტიტუტის სასწავლო პროგრამები;

**1994 წლიდან 1996 წლამდე** მუშაობდა საქართველოს პოლიტოლოგიის ინსტიტუტში წამყვან მეცნიერ-თანამშრომლად, აგრეთვე ეკონომიკის სხვადასხვა დისციპლინაში კითხულობდა ლექციებს საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში;

**1997 – 2000 წლებში** მუშაობდა სახელმწიფო კანცელარიაში სახელმწიფო მრჩევლად, ეკონომიკური სამსახურის საფინანსო-საბიუჯეტო პოლიტიკის განყოფილების უფროსის მოადგილედ, ეკონომიკური სამსახურის უფროსის

მოადგილედ, პრეზიდენტის საპარლამენტო მდივნის მოვალეობის შემსრულებლად;

**1998 – 2000 წლებში** იყო ქალაქ თბილისის საკრებულოს წევრი, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

**2000 წლიდან 2005 წლის მაისამდე** – საქართველოს ეკონომიკის მინისტრის პირველი მოადგილე;

**2005 წლის მაისში** დაინიშნა საქართველოს პრეზიდენტთან არსებული უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილედ;

**2005 წლის სექტემბრიდან 2006 წლის ნოემბრამდე** იყო საქართველოს ეკონომიკის მინისტრის პირველი მოადგილე;

**2006 – 2013 წლებში** – შპს „საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის“ დირექტორთა საბჭოს წევრი, შპს „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაციის“ გენერალური დირექტორი, დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე;

**2013 წლის აგვისტოდან 2018 წლის სექტემბრამდე** – სს „საპარტნიორო ფონდის“ აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე;

**2018 წლის 14 სექტემბრიდან 2019 წლის 18 აპრილამდე** იყო საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე;

**2019 წლის 18 აპრილს** დაინიშნა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრად.

არის 40-მდე სამეცნიერო ნაშრომის, სტატიისა და მონოგრაფიის ავტორი და 2 წიგნის თანაავტორი.

ფლობს რუსულ და ინგლისურ ენებს.

ჰყავს მეუღლე და ერთი შვილი.

# ცნობა

**ჯუანშერ ბურჭულაძე** დაიბადა 1978 წლის 14 იანვარს;

**1994 – 1998 წლებში** სწავლობდა საქართველოს ჰუმანიტარულ-ტექნიკური უნივერსიტეტის საბანკო-საფინანსო ფაკულტეტზე;

**1999 წელს** – ქ. ოქსფორდის (Swan) სკოლაში; გაიარა ინგლისური ენის კურსები;

**1998 – 1999 წლებში** იყო საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ამერიკის ქვეყნების დეპარტამენტის სტაჟიორი;

**1999 – 2001 წლებში** – შპს „ლუქსის“ ფინანსური მენეჯერი;

**2001 – 2004 წლებში** – საქართველოს ეროვნული ბანკის სალიკვიდაციო კომისიის ეკონომისტი;

**2004-2005 წლებში** – სს „ქართუ ბანკის“ პლასტიკური ბარათების მომსახურებისა და დამუშავების დეპარტამენტის უფროსი სპეციალისტი;

**2005-2006 წლებში** – სს „სტანდარტ ბანკის“ კორპორაციული კლიენტების მომსახურების დეპარტამენტის პირადი ბანკირი;

**2006-2007 წლებში** – სს „სტანდარტ ბანკის“ ბუდაპეშტის განყოფილების მმართველი;

**2007 წელს** – სს „სტანდარტ ბანკის“ საბურთალოს ფილიალის მმართველი;

**2007 – 2010 წლებში** – სს „კორ-სტანდარტ ბანკის“ ბიზნესის განვითარების დირექტორი;

**2010 – 2015 წლებში** – MFA ამერიკის შეერთებულ შტატებში საქართველოს საელჩოს ფინანსური მენეჯერი;

**2015 წელს** – საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის აღმასრულებელი დირექტორის პირველი მოადგილე;

**2015-2016 წლებში** – საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის აღმასრულებელი დირექტორი;

**2016 – 2019 წლებში** – საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის აღმასრულებელი დირექტორის პირველი მოადგილე;

**2019 წლიდან დღემდე** არის საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილე;

**2013-2014 წლებში** საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის აშშ-ში ვიზიტის ორგანიზებისა და აშშ-ში საქართველოს საელჩოს შენობის შეძენისთვის, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრისგან მიღებული აქვს ორი პირადი მადლობა;

მიღებული აქვს სხვადასხვა ჯილდო და სიგელი;

მონაწილეობა აქვს მიღებული სხვადასხვა სემინარსა და კონფერენციაში;

ფლობს ინგლისურ, ესპანურ, რუსულ ენებს;

ჰყავს მეუღლე და რვა შვილი.

# ცნობა

**გოჩა ლორთქიფანიძე** დაიბადა 1964 წლის 3 თებერვალს, ქ. ფოთში;

**1991 წელს** დაამთავრა თბილისის სახელწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალი იურისტი-სამართალმცოდნის სპეციალობით;

**1995 წელს** დაამთავრა ესექსის უნივერსიტეტის (ინგლისი) სამაგისტრო პროგრამა ადამიანის უფლებების სამართალში;

**2004 წელს** – ჰარვარდის უნივერსიტეტის (აშშ) საერთაშორისო სამართლის სამაგისტრო პროგრამა;

**2011 – 2014 წლებში** მუშაობდა სადოქტორო დისერტაციაზე ფორდამის უნივერსიტეტში (აშშ);

არის სამართლის პროფესორი;

**1991 – 2005 წლებში** მუშაობდა საგარეო საქმეთა სამინისტროში სხვადასხვა თანამდებობაზე, მათ შორის, იყო გაეროს სამმართველოს უფროსი, საგარეო საქმეთა მინისტრის მრჩეველი, საგანგებო დავალებათა ელჩი და გაეროსთან საქართველოს მუდმივი წარმომადგენლობის სამართლებრივი მრჩეველი;

**2005 წელს** დაინიშნა საქართველოს პრემიერ-მინისტრის მრჩევლად საგარეო ურთიერთობებისა და საერთაშორისო სამართლის საკითხებში;

**2007 წელს** გახდა ფულბრაიტის სტიპენდიანტი და საქმიანობა ქ. ნიუ-იორკში აკადემიურ სფეროში გააგრძელა;

**2007 – 2010 წლებში** იყო კოლუმბიის უნივერსიტეტის მოწვეული მკვლევარი, **2010 – 2013 წლებში** ამავე უნივერსიტეტის ადიუნქტ-პროფესორი, ასწავლიდა ადამიანის უფლებებს, მიჰყავდა აკადემიური პროგრამები იძულებით გადაადგილებული პირებისa და ქალთა უფლებების შესახებ;

**2012 წლის 19 ნოემბრიდან** არის საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილე, **2020 წლის 1 ოქტომბრიდან** – მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი;

**2020 წლის დეკემბერში** არჩეულ იქნა ჰააგის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მოსამართლედ;

აგრძელებს აკადემიურ საქმიანობას როგორც ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის პროფესორი და მოწვეული ლექტორი სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და კავკასიის უნივერსიტეტში;

არის ევროპის საბჭოს გენდერული თანასწორობის კომისიის, ვენეციის კომისიისა და სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს დაზარალებულთა ფონდის დირექტორატის წევრი.

ფლობს რუსულ და ინგლისურ ენებს.

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

# ც ნ ო ბ ა

**ეკატერინე ტიკარაძე** დაიბადა 1976 წლის 3 მარტს, ქ. თბილისში;

**1998 წელს** დაამთავრა ქ. თბილისის სამედიცინო ინსტიტუტი „ვიტა“, პროფესიით – ექიმი;

**2005 წელს** გაიარა ზოგადი პროფილის სტომატოლოგიის კურსი;

**2007-2008 წლებში** სწავლობდა გერმანიაში, ლუდვიქსჰაფენის პრაქტიკისა და მეცნიერების აკადემიაში, სადაც გაიარა ყბა-სახის იმპლანტაციის სრული კურსი;

**2015-2016 წლებში** გერმანიაში, ქ. მიუნსტერის ჯანდაცვის აკადემიაში გაიარა კურსი – მართვის კომპეტენცია ჰოსპიტალურ სექტორში;

**2016 – 2020 წლებში** სწავლობდა ავსტრიაში, ქ. ვენაში, დუნაის კრემსის უნივერსიტეტში, ჯანდაცვის მენეჯმენტის, ჰოსპიტალური სექტორის ეკონომიკისა და მართვის მიმართულებით, სადაც მიენიჭა მენეჯმენტისა და ბიზნეს ადმინისტრირების მაგისტრის ხარისხი;

**2006 – 2008 წლებში** გერმანიაში, ქ. ნიურბერგში იყო ფონდის – „სტომატოლოგები საზღვრების გარეშე“ პროექტის განვითარების მენეჯერი;

**2008 – 2013 წლებში** მუშაობდა შვეიცარიულ კომპანია „მედტრანსში“ მესამეულ ქვეყნებში ჰოსპიტალური და სადაზღვევო სექტორის განვითარების მენეჯერად;

**2009 – 2015 წლებში** იყო საჩხერის სტომატოლოგიური კლინიკის ა(ა)იპ – დოსტაქარის მენეჯერი კონცეპტუალურ საკითხებში;

**2015-2016 წლებში** მუშაობდა სს „საპარტნიორო ფონდში“, „თბილისი კლასტერში“ ჯანდაცვის სექტორის ევროკავშირის სტანდარტების განვითარების მიმართულებით;

**2015 – 2019 წლებში** იყო სს „საჩხერის რაიონული საავადმყოფოს პოლიკლინიკური გაერთიანების“ გენერალური დირექტორი; ა(ა)იპ – დოსტაქარის აღმასრულებელი დირექტორი;

**2019 წლის 18 ივნისს** დაინიშნა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრად.

ფლობს რუსულს, გერმანულ და ინგლისურ ენებს.

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

# ცნობა

**ირაკლი ქარსელაძე** დაიბადა 1978 წლის 28 თებერვალს;

**1999 წელს** დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობის სპეციალობით;

**2004 წლიდან 2006 წლამდე** – გაეროს განვითარების პროგრამის საჰაერო და საზღვაო პორტები, პროექტის ექსპერტი - სამხრეთ კავკასიის ანტი-ნარკოტიკული პროგრამა;

**2006 – 2009 წლებში** – სს „ქართუ ჯგუფი“ საერთაშორისო შესყიდვების დეპარტამენტის დირექტორი;

**2009 – 2010 წლებში** – სს „ლომისი“ ლუდსსახარში ნატახტარი. ლოჯისტიკისა და შესყიდვების  დირექტორი;

**2010 – 2011 წლებში** – სს „საქართველოს ლატარიის კომპანია“, შესყიდვების, ლოჯისტიკისა და ადმინისტრაციის დირექტორი;

**2011 - 2012 წლებში -** შ.პ.ს „დიპლომატ ჯორჯია“, ლოჯისტიკის დეპარტამენტის დირექტორი;

**2012 – 2014 წლებში** – საქართველოს მთავრობის კანცელარია, ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი;

**2014 – 2018 წლებში** – საქართველოს თანაინვესტირების ფონდი, მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე;  საქართველოს ტურიზმის განვითარების ფონდი, აღმასრულებელი დირექტორი;

**2018 წლიდან დღემდე** – საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის პირველი მოადგილე, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარე;

ფლობს ინგლისურ და რუსულ ენებს.

# ცნობა

**დავით ზალკალიანი** დაიბადა 1968 წლის 27 თებერვალს, ქ. თბილისში;

**1992 წელს** დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საერთაშორისო სამართლის სპეციალობით;

**1992 – 1995 წლებში** მუშაობდა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ორგანიზაციების დეპარტამენტის ევროგაერთიანების სამმართველოს მესამე მდივნის, შემდეგ კი – მეორე მდივნის, პირველი მდივნისა და სამმართველოს უფროსის მოადგილის თანამდებობებზე;

**1995-1996 წლებში** იყო საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ორგანიზაციების დეპარტამენტის ევროორგანიზაციების სამმართველოს უფროსის მოადგილე;

**1996 – 2000 წლებში** მუშაობდა ავსტრიის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოსა და ქ. ვენაში განლაგებულ საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს მუდმივ წარმომადგენლობაში პირველ მდივნის, შემდეგ – მრჩევლის პოზიციებზე;

**2000-2001 წლებში** იყო მრჩეველი საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროპულ საქმეთა დეპარტამენტში;

**2001-2002 წლებში** – ავსტრიის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოსა და ქ. ვენაში განლაგებულ საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს მუდმივ წარმომადგენლობაში წარმომადგენლის მოადგილე;

**2002 – 2004 წლებში** – აშშ-ში, კანადასა და მექსიკაში საქართველოს საელჩოში უფროსი მრჩევლი;

**2004 – 2007 წლებში** იყო უზბეკეთისა და ტაჯიკეთის რესპუბლიკებში საქართველოს საგანგებო სრულუფლებიანი ელჩი;

**2007-2008 წლებში** – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს გლობალურ ურთიერთობათა დეპარტამენტის დირექტორი, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საგანგებო დავალებათა ელჩი;

**2008-2009 წლებში** იყო ბელარუსის რესპუბლიკაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი;

**2012 – 2014 წლებში** – საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე;

**2015-2016 წლებში** – ლევან მიქელაძის სახელობის ფონდის აღმასრულებელი დირექტორი;

**2016 – 2018 წლებში** – საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე;

**2018 წლიდან დღემდე** არის საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი;

**2021 წლის 21 იანვრიდან** დაეკისრა საქართველოს ვიცე-პრემიერის მოვალეობა;

**2007 წელს** მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის დიპლომატიური რანგი.

ფლობს ინგლისურ, გერმანულ და რუსულ ენებს.

ჰყავს მეუღლე და ორი ქალიშვილი.

# ცნობა

**ივანე მაჭავარიანი** დაიბადა 1974 წლის 11 თებერვალს, ქ. თბილისში;

**1996 წელს** დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, კვალიფიკაციით – წარმოების ეკონომიკა და მართვა;

**1997 წელს** – „საერთაშორისო საბუღალტრო სტანდარტების“ სპეციალური ინტენსიური კურსი;

**2009 წელს** წარმატებით დაასრულა სასწავლო პროგრამა ფინანსების სხვადასხვა სფეროში, გაიარა ტელეკომუნიკაციებთან დაკავშირებული სხვადასხვა ტრენინგი;

**1997 წლის იანვრიდან 2000 წლის ივლისამდე** იყო შპს „ჯეოსელის“ ფინანსური განყოფილების სპეციალისტი;

**2000 წლის ივლისიდან 2000 წლის დეკემბრამდე** იყო შპს „ჯეოსელის“ ფინანსური განყოფილების უფროსი სპეციალისტი;

**2001 წლის იანვრიდან 2006 წლის ივნისამდე** – შპს „ჯეოსელის“ ფინანსური დაგეგმარებისა და საერთაშორისო ანგარიშების დეპარტამენტის მენეჯერი;

**2006 წლის ივნისიდან 2013 წლის მაისამდე** – შპს „ჯეოსელის“ ფინანსური დირექტორი;

**2013 წლის მაისიდან 2018 წლის მაისამდე** – შპს „ჯეოსელის“ კომერციული დირექტორი;

**2018 წლის 12 ივლისს** დაინიშნა საქართველოს ფინანსთა მინისტრად;

**2010-2011 წლებში** იყო „TeliaSonera's Eurasian“ ოპერაციებისთვის მობილური ადაპტაციის სტრატეგიის შემუშავების გუნდის წევრი (ყაზახეთი, აზერბაიჯანი, საქართველო, უზბეკეთი, ტაჯიკეთი, ნეპალი და მოლდოვა);

**2012 – 2015 წლებში** მონაწილეობას იღებდა სხვადასხვა საკონსულტაციო კომპანიასთან კომერციულ და ტექნოლოგიურ კვლევებში (McKinsey, Accenture, Informa Telecoms, Delta Partners).

ფლობს რუსულ და ინგლისურ ენებს.

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

# ცნობა

**ვახტანგ გომელაური** დაიბადა 1975 წლის 24 დეკემბერს, ქ. თბილისში;

**2003 წელს** დაამთავრა საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემია;

**1994 – 2003 წლებში** მუშაობდა საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურში;

**2003 წლის აპრილიდან 2013 წლის მარტამდე** – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ – დაცვის პოლიციის დეპარტამენტში;

**2013 წლის 22 მარტიდან 2014 წლის 11 დეკემბრამდე** იყო საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე;

**2014 წლის 11 დეკემბრიდან 2015 წლის 26 იანვრამდე** – საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე;

**2015 წლის 26 იანვრიდან 2015 წლის 1 აგვისტომდე** – საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი;

**2015 წლის 1 აგვისტოდან 2019 წლის 8 სექტემბრამდე** – საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსი;

**2019 წლის 8 სექტემბერს** დაინიშნა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრად;

**2019 წლის 19 თებერვალს** დაეკისრა ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს მდივნის ფუნქცია;

**2019 წლის 25 აპრილს** მიენიჭა „სახელმწიფო უსაფრთხოების გენერალ-ლეიტენანტის“ უმაღლესი სპეციალური წოდება;

**2019 წლის 8 სექტემბერს** მიენიჭა „პოლიციის გენერალ-ლეიტენანტის“ უმაღლესი სპეციალური წოდება“.

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

# ცნობა

**თეა ახვლედიანი** დაიბადა 1975 წლის 10 იანვარს, ქ. თბილისში;

**1996 წელს** დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტი, საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სპეციალობით;

**2006-2007 წ. წ.** – საერთაშორისო კვლევების და სტრატეგიის ევროპული ცენტრი, პარიზის უნივერსიტეტის (XI/Sacley) ინტერდისციპლინარული სწავლებების კოლეჯი (ბელგიის სამეფო, ქ. ბრიუსელი), სამაგისტრო პროგრამა საერთაშორისო პოლიტიკაში; დაამთავრა წარჩინებით (შეფასებით Summum cum laude);

**1999 – 2012 წლებში** გავლილი აქვს მრავალი სასწავლო კურსი და ტრენინგი საქართველოში, ევროპის ქვეყნებსა და აშშ-ში: ექსპორტისა და ბიზნესის ხელშეწყობის საერთაშორისო ეკონომიკის; მოლაპარაკებების უნარ-ჩვევების; დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების; ევროპული ინტეგრაციის; საერთაშორისო ფინანსებისა და ინვესტიციების; ეკონომიკური დიპლომატიისა და მსოფლიო ვაჭრობის; ნატო-საქართველოს პროფესიული განვითარების უსაფრთხოების პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში;

**1997 წლის ნოემბრიდან 1999 წლის მაისამდე** იყო საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების დეპარტამენტის ევროკავშირთან ურთიერთობის სამმართველოს სტაჟიორი;

**1999 წლის მაისიდან 2000 წლის აგვისტომდე** – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების დეპარტამენტის ევროკავშირთან ურთიერთობის სამმართველოს ატაშე;

**2000 წლის აგვისტოდან 2001 წლის ოქტომბრამდე** – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროკავშირთან ურთიერთობის დეპარტამენტის მეორე მდივანი;

**2001 წლის ოქტომბრიდან 2002 წლის აგვისტომდე** – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლიტიკური ანალიზისა და ევროკავშირ-საქართველოს პარტნიორობისა და თანამშრომლობის სამმართველოს უფროსი;

**2002 წლის აგვისტოდან 2004 წლის მარტამდე** – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროკავშირთან ურთიერთობის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე;

**2004 წლის იანვრიდან სექტემბრამდე** – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროკავშირთან ურთიერთობის დეპარტამენტის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, დირექტორი;

**2004 წლის სექტემბრიდან ოქტომბრამდე** – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროპულ საქმეთა და ევროინტეგრაციის დეპარტამენტის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი;

**2004 წლის ოქტომბრიდან 2008 წლის მარტამდე** იყო ბენილუქსის ქვეყნებში საქართველოს საელჩოსა და ევროკავშირთან საქართველოს მისიის (ბრიუსელი, ბელგია) მრჩეველი;

**2008 წლის მარტიდან ნოემბრამდე** ეკავა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროინტეგრაციის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილის თანამდებობა;

**2008 წლის ნოემბრიდან 2014 წლის მარტამდე** – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროინტეგრაციის დეპარტამენტის დირექტორის თანამდებობა;

**2010 – 2013 წლებში** – საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოციირების შესახებ შეთანხმებაზე მოლაპარაკებების გენერალური აღმასრულებელი მდივანი;

**2014 წლის 22 აპრილიდან 2019 წლის 1 ივნისამდე** იყო საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ესტონეთში;

**2019 წლის 5 ივნისიდან 2020 წლის 6 აგვისტომდე** – საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე (შრომითი მიგრაციის საკითხებში);

**2020 წლის 6 აგვისტოს დაინიშნა** შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრად.

მინიჭებული აქვს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის დიპლომატიური რანგი.

დაჯილდოებულია პირველი კლასის „ტერა მარიანას“ ჯვრის ორდენით, „მერიტ სილვერ“ მედლითა და ღირსების ორდენით.

ფლობს რუსულ, ინგლისურ და ფრანგულ ენებს.

ჰყავს ერთი შვილი.